



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 147

2016 წლის 06 სექტემბერი

ქ. თბილისი

2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის  
ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 7 ივლისის N140 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის წევრების 2016 წლის 5 სექტემბრის N1024656 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, კონკურსიდან მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის  
2016 წ. 06 სექტემბრის N 177 ბრძანებით

2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები გრანტით დაფინანსების კონკურსის  
შუალედური შედეგები

| #  | პროექტის შიფრი | პროექტის სათაური   | ინსტიტუტი  | კონკურსიდან მოხსნის მიზეზი   |
|----|----------------|--|--|--|
| 1  | PhDF2016_3     | ტელომერათა ცვლემადობა საკვერცხის ავთვისებიანი სიმსივნის დროს, როგორც შესაძლო სადიაგნოსტიკო მარკერი.  | ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პირველი საანგარიშო პერიოდისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 10 500 ლარს.  |
| 2  | PhDF2016_7     | შუა საუკუნეების ეტრატზე ნაწერი ხელნაწერი წიგნების დიაგნოსტიკა და ადრეული რესტავრაციის შედეგები   | ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროექტის ხანგრძლივობა (12 თვე) არ შეესაბამება დოქტორანტურაში სწავლის მე-5 სემესტრს.  |
| 3  | PhDF2016_13    | საქართველოს ცალკეული რეგიონებისათვის ატმოსფეროსა და ნიადაგში მიმდინარე ზოგიერთი არაორდინალური პროცესების შესწავლა  | ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პირველი საანგარიშო პერიოდისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 10 500 ლარს.  |
| 4  | PhDF2016_16    | ციფრული ფოტოგრაფიისა და აუგმენტური რეალობის როლი ჰიპერტექსტსა და ჰიპერმედიაში  | თბილისის ა.ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემია           | წლიური ბიუჯეტის ოდენობა აღემატება 21 000 ლარს.   |
| 5  | PhDF2016_28    | ესაკიას სივრცეების ლოკალური ჰომომორფიზმები და მათი გამოყენება არაკლასიკურ ლოგიკაში   | ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | წლიური ბიუჯეტის ოდენობა აღემატება 21 000 ლარს; პირველი საანგარიშო პერიოდისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 10 500 ლარს. |
| 6  | PhDF2016_35    | ქართული საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა   | სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი                 | არ არის ხელმოწერილი დანართი-9 ინფორმაცია სამეცნიერო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის შესახებ  |
| 7  | PhDF2016_36    | აჭარაში ინტროდუცირებული ციტრუსოვნების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები   | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი          | პირველი საანგარიშო პერიოდისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 10 500 ლარს.  |
| 8  | PhDF2016_41    | ახმეტის, გურჯაანის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების სოფლების საერთო სამოვრების გამოყენებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების მოგვარების გზები | საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი                        | წლიური ბიუჯეტის ოდენობა აღემატება 21 000 ლარს; პირველი საანგარიშო პერიოდისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 10 500 ლარს. |
| 9  | PhDF2016_45    | ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური დანამატებით და თავლით გამდიდრებული რძის პროდუქტების ტექნოლოგია   | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი                       | წლიური ბიუჯეტის ოდენობა აღემატება 21 000 ლარს; პირველი საანგარიშო პერიოდისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 10 500 ლარს. |
| 10 | PhDF2016_50    | FOXP3 გენის პოლიმორფიზმი როგორც კიბოს რეციდივის რისკ-ფაქტორი   | ნიუ ვიჯენ უნივერსიტეტი                                   | დოქტორანტურის პროგრამაში სწავლის შესახებ ცნობაში მითითებული არ არის დისერტაციის ხელმძღვანელი.                                    |
| 11 | PhDF2016_54    | ფშატის (ჭალაფშატი) <i>Elaeagnus angustifolia</i> ნაყოფებისა და ფოთლების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები და მათგან წარმოებული ფუნქციონალური პროდუქტები             | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი          | პირველი საანგარიშო პერიოდისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 10 500 ლარს.  |